კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	მეათე კლასი
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ [ფინედუს ვებგვერდს](#))*	✓ პირადი ფინანსების მართვა (მე და ხარჯვა) ; ✓ დაზოგვა (რისთვის და როგორ დავზოგოთ ფინანსები);
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	✓ დისკუსია; ✓ პირადი დაკვირვებებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება; ✓ მხატვრულ ნაწარმოებში დასმული პრობლემის/პრობლემების განხილვა-გაანალიზება და საკითხის აქტუალურობის ჭრილში განხილვა;

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	„ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ კონკურსის ფარგლებში სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლის მე-10 კლასში ჩატარდა გაკვეთილი, რომლის მიზანი იყო მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება ფინანსური წიგნიერების მიმართულებით. სამუშაო მასალად შერჩეული იყო ნაწარმოები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურიდან. კერძოდ, ლავრენტი არდაზიანის მოთხრობა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“. აღნიშნული გაკვეთილისთვის ფინანსური განათლების თემებიდან შერჩეული იყო შემდეგი - ✓ პირადი ფინანსების მართვა (მე და ხარჯვა) ; ✓ დაზოგვა (რისთვის და როგორ დავზოგოთ ფინანსები); გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებთან ერთად ვისაუბრეთ ფინანსური განათლების არსსა და მნიშვნელობაზე. იმ უნარების ფლობის აუცილებლობაზე, რომლებიც თანამედროვე სამყაროში მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისათვის. მოსწავლეები გაეცნენ რამდენიმე გამონათქვამს ფულის მნიშვნელობაზე და გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება, შემდეგ კი გაიხსენეს მიმდინარე სასწავლო წელს შესწავლილი ნაწარმოებები ძველი ქართული ლიტერატურიდან, რომლებშიც საუბარია ფულზე (მატერიალურ დოვლათზე, სიმდიდრეზე) და იმაზე, თუ რა მიზნით იყენებენ მას პერსონაჟები. კერძოდ, „შუშანიკის წამება“ - იაკობი ახერხებს მცველის მოსყიდვას, რათა ციხეში შევიდეს დედოფლის სანახავად; „აბოს წამება“ - არაბები ქართველთა მოსასყიდად ერთ-ერთ საშუალებად ფულს/სიმდიდრეს იყენებდნენ, აბოს თავის ქონებასა და ტანსაცმელს ყიდის, რათა დაეხმაროს გაჭირვებულებს და იყიდოს სანთლები; „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ - მოისარი კაცის მოსყიდვა გრიგოლის მოსაკლავად; „ვეფხისტყაოსანი“ - ვეზირისთვის ქრთამის მიცემა; ნესტანის მიერ მელიქ-სურხავის ხადუმების მოსყიდვა; „სიბრძნე სიცრუისა“ - სხვადასხვა იგავი ქონების გამოყენებაზე ან ვერ/ არ გამოყენებაზე; (ეს აქტივობა მიზნად ისახავდა იმის შეხსენებას, რომ ფულს ყველა ეპოქაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და თანამედროვე ცხოვრების მსგავსად, იგი სხვადასხვა მიზნით გამოიყენებოდა); შემდეგი აქტივობა გულისხმობდა მოსწავლეებთან ერთად სიღრმისეულად განგვეხილა ისეთი საკითხები, როგორებიცაა პირადი ფინანსები და დაზოგვა. კერძოდ, განვიხილეთ ხარჯის ტიპები (ფიქსირებული და ცვლადი). მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ფინანსების დაზოგვის საკითხი. მათ ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები ***რა მიზნით*** (სასურველი ნივთის შესაძენად; დასასვენებლად წასასვლელად; „შეიძლება უცებ დაგჭირდეს“...)და ***როგორ*** შეიძლება დავზოგოთ თანხა (ვისარგებლოთ ფასდაკლებებით (მაგ., სააფთიაქო მომსახურებისას), გადავიხადოთ ბარათით (არც ერთ თეთრს არ ვიხდით ზედმეტს და გვიბრუნდება ე.წ. ქეშბექი) , დავრწმუნდეთ ნამდვილად გვჭირდება თუ არა ის, რასაც ვყიდულობთ, შევადაროთ გაზით გათბობა უფრო ბიუჯეტურია თუ ელექტროენერგიით...). ამის შემდეგ მოსწავლეები გაეცნენ „რჩევებს გონივრული

	შესყიდვისათვის“ (იხ. https://www.finedu.gov.ge/ge/rchevebi-gonivruli-shesqidvistvis-1) , მონიშნეს მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რჩევები. მომდევნო აქტივობა დაეთმო კონკრეტულ ნაწარმოებში (ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“) წარმოდგენილი ფინანსური საკითხების განხილვას. ნაწარმოების ძირითადი სიუჟეტური ხაზის შეხსენების შემდეგ მოსწავლეებმა წაიკითხეს რამდენიმე ამონარიდი მოთხრობიდან, რომლებშიც მთავარი გმირი საუბრობს თავის ცხოვრების წესზე - იმ მეთოდებზე, გზებზე, რომლებსაც იყენებდა ფულის დაგროვებისა და დაზოგვისათვის (ვაჭრობა, ფულის გასესხება პროცენტით - მევახშეობა, თაღლითობა, უკიდურესი ეკონომია...). მასალის კიდევ ერთხელ გაცნობის შემდეგ მოსწავლეებმა ისაუბრეს რა არის მიუღებელი პერსონაჟის ამგვარ ქმედებებში და რატომ, რა შეცდომები დაუშვა სოლომონმა და რა დასკვნები უნდა გავაკეთოთ ამ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	2024 წლის 16 მაისს მეათე კლასში ჩატარებული გაკვეთილი, რომლის მიზანი ფინანსური განათლების მნიშვნელობაზე აქცენტირება და მხატვრულ ლიტერატურასთან გარკვეული კავშირების ბმების დამყარება იყო, მოსწავლეთა შეფასებით, საინტერესო და აქტუალური გამოვიდა. ამაზე მიუთითებდა ყველა მოსწავლის აქტიურობა. ისინი სვამდნენ შეკითხვებს მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, აზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას, დამოკიდებულებას ფინანსებთან. როგორც აღინიშნა, ერთმანეთის მიგნებების გამოყენებას შეძლებდნენ. მოსწავლეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ფული ძალიან საჭიროა ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ სენეკას გამონათქვამის მსგავსად, „ფული უნდა აკონტროლო და არა ემსახურო მას“. გაკვეთილისთვის შერჩეული ნაწარმოების მთავარი გმირის ცხოვრებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ფულის უპირობო სიყვარული როგორი დამღუპველი შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანური ღირსებისათვის, თუმცა მათ დაინახეს ისიც, რომ შრომისმოყვარეობას, პრინციპულობას სასურველი შედეგი მოაქვს. იმისათვის კი, რომ ადამიანი არ აღმოჩნდეს რაიმე უკიდურესობაში, მას სჭირდება განათლება, მათ შორის ფინანსური.